# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 111. კვირა, 20 აპრილი 1903 წ. გაზეთის № 2127.


### ს ი მ ღ ე რ ა

ის უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო,
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ურიაო.
ნუ ჰნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეგ ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.

ვაჟა-ფშაველა.

*
* *

(ჰეინე)

იმ იმედით ვეგებები
დილის რიჟრაჟს-განთიადსა,
რომ ნაზ სატრფოს შევეყრები,
გადავიყრი გულზედ დარდსა.

—

საღამოზედ რო ვერ ვნახავ,
ემატება წყვდიადს ბნელი;
გულ ამოსკვნით ვიმეორებ,
დღესაც არ სჩანს საყვარელი.

—

დაქანცული ლოდინითა
ღამე საწოლს მივეგდები
იმ იმედით, რომ ხვალ მაინც
სატრფოს ხილვას მოვესწრები.

სა.



გაზაფხული.—სურათი ასტის.

## საუზმე უცნობთან.

ჰუმორიული ესკიზი მარკ-ტვენისა.

(თარგმანი გერმანულიდან).

პატივცემულნი მკითხველნი ძალიან შესცდებიან, თუ იფიქრებენ, რომ ჩვენი საუბარი ეხება რომელსამე მათემატიკურ ამოცანას. არც იმ შემთხვევაში გაუმართლდებათ იმედი, თუ ჩემგან მოელიან რაიმე ჩვეულებრივ, ყოველ დღიურ ამბავს, ისეთ ამბავს, როგორც მოხდა სასტუმროში, სადაც ვიღაც უცნობი ვაჟბატონი ლუდის დასალევად შემოვიდა და შემთხვევით ჩემის მაგიდის ბოლოს ჩამოჯდა.

არა, ამბავი, რომელსაც მე გიამბობთ, ჩვეულებრივი არ არის და ადგილი, სადაც მოხდა, ჩვეულებრივს სასტუმროს არ წარმოადგენს. ეს ამბავი მოხდა უბრალო, მაგრამ გემოზე მორთულ სასადილო ოთახში. ეს ოთახი ჩემი სასადილო ოთახია, რომელიც ჩემ გემოზე მოვაწყე.

ოთახი ძლიერ დიდი არ არის, რაც ჩემთვის ძალიან მოხერხებულია, რადგან ურიცხვი ნათესავები და ნაცნობები მყავს, მოგეხსენებათ, ძნელია ისეთის ბინის შოვნა, რომ სტუმართ მოყვარე ადამიანის სახელიც შეგრჩეს და თანაც ჯიბე არ გაგითხელდეს.

მოქმედება სწარმოებდა ჩვენს დროში, დილის 9 საათზე. ოთახში საამური სუნი ტრიალებდა. ლამაზად მორთულ მაგიდის ერთ მხარეს სამოვარი დუღდა, მეორე მხარეს ეწყო ლორი, დამარილებული ქონი და მთელი ზვინი ხაჭაპურებისა. ეს ძვირფასი ძღვენი ჩემმა სიდედრმა გამომიგზავნა, რისთვისაც მხურვალე მადლობას ვწირავ.

საამურის სუნით მოხიბლული, ვიდექი მახლობელ ოთახში, სამუშაო სტოლთან. ის იყო დავამთავრე ჩემი ახალი თხზულება გენიოსის შესახებ, რომელიც სიმშილისაგან მოკვდა.

ასეთ ისტორიების წერა ძლიერ ადვილია იმისთვის, ვისაც კუჭი ცარიელი აქვს, კითხვა კი დიდათ სასიამოვნოა მაძღრისათვის. სრულიადაც საკვირველი არ არის, რომ ასეთ ამბების კითხვა მშიერ კუჭს კიდევ უფრო აკარგვინებს მოთმი-

ნებას, ხოლო მაძღარს საჭმლის მონელებას უადვილებს და, საზოგადოდ, ისე მოქმედებს, როგორც შვეიცარიული ყველი.

სამურ სუნისგან ნერწყვ-მორეული გავეშურე სასადილო ოთახისკენ, გადავიკეცე სამუშაო ხალათის სახელოები, ავიღე დანა და შევემზადე მადიან საუზმისთვის.

უცებ ზარის ხმა მოისმა; შემდეგ გოგომ შემატყობინა, რომ ვიღაც უცნობს თქვენი ნახვა ჰსურსო. იმ წამსვე გარედ გავჩნდი.

— აჰ, გიზო, გენაცვალე!—შეჰყვირა უცნობმა და ხელად გულში ჩამიკრა.

— მეგობარო, შენა?!—მივაძახე და გადავეხვიე.

უნდა გამოვტყდე, ახლაც წყევა-კრულვით ვიხსენიებ ჩემს უცნობ მეგობარს ორსავე კოცნისათვის, თუმცა იმისმა დაძახებამ—„გიზო!“ ძლიერ გამაკვირვა. პიარისტების გიმნაზიაში მეტ სახელად „გიზოს“ მეძახდნენ, ნამდვილი ჩემი სახელი კი ბიქტორი იყო. დირექტორ ტრაუტვეინს არ მოეწონა ჩემი გვარი და ძალად „გიზოთ“ გადამნათლა, თუმცა, მართალი რომ სთქვას კაცმა, სასაცილო გვარი თვით დირექტორსა ჰქონდა.

მაშ ჩემი ახალი სტუმარი გიმნაზიის ამხანაგი იქნება მეთქი, ვიფიქრე.

— კიდევ გახსოვვარ ამდენის ხნის დაშორების შემდეგ?—ხმის კანკალით მკითხა უცნობმა.

— აბა, როგორ დაგივიწყებ!—ვუპასუხე.

— ძალიანაც მაწყენინებდი, რომ შენი საუკეთესო მეგობარი დაგევიწყნა!

შევიყვანე სასადილო ოთახში.

— მაპატიე, საუზმის ჭამა დაგატოვებინე!—მითხრა უცნობმა მეგობარმა.

— სრულიადაც არა! გთხოვ, ჩემთან ერთად ისიამოვნო, თუ შენი ნებაც იქნება!

უცნობმა დასდო პალტო და ქუდი და დაჯდა იმედი დამეკარგა იმის ვინაობის გაგებ-სა, მაგრამ მაინც ძალა დავატანე ჩემს თავს, იქნებ როგორმე დავიწყებულ მეგობრის სახელი მოვიგონო-მეთქი. გონებაში განგებ გავიტარე სკოლის ყველა ძველ ამხანაგის სახე, მაგრამ ამაოდ: ჩემი სტუმარი არც ერთს არა ჰგავდა. ამ გზით რომ ვერას გავხდი, სხვა საშუალებას მივმართე.

— ხომ კიდევ გაგონდება სიყმაწვილის ნეტარი დრო, როცა მე და შენ სკოლაში ვსწავლობდით?—ვკითხე უცნობ სტუმარს და სკამი მიუწიე.

— აბა რას ამბობ? განა წარმოსადგენია დაივიწყოს ადამიანმა სტუდენტობის ნეტარი დრო? კარცერი, ეგზამენები, სუფლიორობა...

აქ ლაპარაკი უცებ შესწყვიტა და მადიანად გადაყლაპა ქონის ვეებერთელა ნაჭერი, რომელიც ის იყო ჩამოსჭრა.

— გახსოვს ჩვენის სკოლის ამხანაგი უივარი, რომელიც დღეს სახალხო თეატრის სახელგანთქმული კომიკია? გახსოვს ბულკების ამბავი ლათინურ ენის გაკვეთილზე? არა მგონია, დაგვიწყებოდეს!

უცნობმა დანას ხელი გაუშვა და გაშტერებულმა შემომხედა.

— სწორედ არ მაგონდება! მითხარ, როგორ მოხდა ეს ამბავი?

— ერთობ მოგვაბეზრა ლათინურმა თავი. ერთ დღეს სულ არ მოგვიმზადებია გაკვეთილი თითქმის მთელ კლასს დამწყვდევა გადაგვიწყვიტეს. შიმშილი რომ თავიდან აგვეცილებინა, ჩვენ გადავეცით უივარის ერთი ჰულდენი. ამ ფულით ათის წუთით დასვენების დროს სადილი უნდა მოემზადებინა ჩვენთვის. დირექტორი გასასვლელ კარებში იდგა, ამიტომ შეუმჩნევლად გასვლა შეუძლებელი იყო. მაგრამ მოხერხებული უივარი დირექტორს ჩუმად გაუსხლტა ხელიდან. იქვე ქუჩის პირას მეპურის დუქანი იყო. უივარი იძულებული იყო, მარტო ბულკები ეყიდნა. სულ სამოც და თხუთმეტი ერგო. ბედზე სერთუკის ჯიბე ერთ ალაგას გახეული ჰქონდა. უივარმა მთელი სურსათი სერთუკის სარჩულში მოათავსა... ასე დატვირთული დაბრუნდა საკლასო ოთახში, მაგრამ ცოტა დაუგვიანდა: ლათინურის მასწავლებელი უკვე კათედრაზე იყო გამოჭიმული. უცებ იჭრიალა კარებმა და უივარი გამოჩნდა. ბულკებს ანაფორასავით გაეხადა მისთვის სერთუკი, ასე რომ კარებში ძლივს შემოეტია. მთელ კლასს ხარხარი აუვარდა. მასწავლებელმა ბულკები კათედრაზე დაალაგებინა და ამ გვა-



ყანაში.—სოფლის სურათი ლერმიტესი.

რად მთელი სურსათი დატყვევებულ იქმნა. პანსიონში ოთხის დღის განმავლობაში ბულკებს გვაჭმევდნენ..

ჩემს უცნობს სტუმარს სიცილისგან ფერი დაეკარგა. ქონის ვეებერთელა ნაჭერი ყელზე დაადგა და კინაღამ დაიხრჩო. რის ვაი-ვაგლახით გადაყლაპა. ბოლოს, სიცილს თავი დაანება და მხიარულად მითხრა:

— საუცხოვო ისტორიაა! მაგრამ მე პირველად მესმის. პირველად მესმის აგრეთვე უივარის სახელიც.

ახლა ლორისკენ იბრუნა პირი ჩემმა მეგობარმა და სამი მოზრდილი ნაჭერი უკვე გაგზავნა, სადაც ჯერ იყო. თავისარ გაგვიშვა. როგორც იქნა მეთხუთმეტე მოსწავლემდე მიაღწია. აქ კი ველარ გაუძლო და ბარბაცით და წყევა-კრულვით უკან გამოტრიალდა. სამის დღის განმავლობაში ლუკმა არ მიუკარებია, შემდეგ სულ აღარ გაუჩხრეკივართ...

უცნობმა მეგობარმა გაათავა ლაპარაკი. სიცილისაგან თვალებში ცრემლები მოადგა. მეც ისეთი სიცილი ამივარდა, რომ კედლებმა ზრიალი მორთეს. ამბავი თავის და თავად საინტერესო იყო, მაგრამ მე პირველად მესმოდა. პიარისტების გიმნაზიაში ჩემ დროს ასეთი ამბავი არ მომხდარა.

ლაპარაკმა კიდევ უფრო აღუძრა მადა ჩემ უცნობ მეგო-



ტყის პირად.

თავად იგულისხმება, რომ სხვის სახლში უფრო კარგი მადა აქვს კაცს, ვიდრე თავისაში. მაგრამ მაინც საკვირველია, როგორ ადვილად ანადგურებდა უცნობი სიმპატიურ ცხოველის ხორცს და თანაც გატაცებით ლაპარაკობდა.

— ხომ გახსოვს, მეექვსე კლასში როგორ სასტიკად გვქონდა თუთუნის წევა აკრძალული, მაგრამ ჩვენ მაინც დაჟინებით ვწევდით? გაკვეთილების წინ დირექტორი ჩვეულებრივად კარებში იდგა. როცა რომელიმე მოსწავლე გაივლიდა, ის სახელოში სტაცებდა ხელს და დაუყვირებდა, „აბა ჩამბერეთ“ და ვისაც თუთუნის სუნს შეამჩნევდა—დირექტორს ძლიერ განვითარებული ყნოსვა ჰქონდა—ვაი იმისი ბრალი: უსათუოდ კარცერში ამოაყოფინებდა თავს. დიდ საგონებელში ჩავვარდით. ის იყო თუთუნის წევას უნდა გამოვთხოვებოდით, რომ ერთ დღეს შესანიშნავი ხერხი მოვიგონე. დილით, რვის ნახევარზე, შევკრიბე თუთუნის მოტრფიალენი და ერთ სასტუმროში გავემართენით. იქ, ჩემის რჩევით, თვითეულმა ჩვენგანმა იყიდა ბატის ქონით და ნივრით შეზავებული პური. დავეწყვეთ ჯგუფებათ და გამოვწიეთ სასწავლებლისკენ. ბებერი მსუნაგის ძალლივით კარებში გვიცდიდა. მივუახლოვდით თუ არა, შეგვაჩერა და დაგვიყვირა: „აბა ჩამბერეთ!“ დაიწყო პირველის ჯგუფიდან. დირექტორს იმ წამსვე ხველა აუვარდა, ცხვირმა ცემინება დაუწყო; იტაცა ცხვირსახოცს ხელი, მაგრამ ჩვენ მაინც

ბარს, ასე რომ ლაპარაკის დროს ლორის ხუთი ვეებერთელა ნაჭერი გაანადგურა. ახლა ჯერი ხაჭაპურებზე მიდგა. წარმოუდგენელია, როგორის სიჩქარითა და მხნეობით ავლებდა მუსრს ხაჭაპურებს. ახლაც ნათლად მაქვს წარმოდგენილი ის წამი, როცა თვითეული ხაჭაპური, სანამ იმის ბნელ საკუჭნაოში გაემგზავრებოდა, როგორ ყვედრებით გადმომხედავდა ხოლმე, თითქოს მეუბნებოდა: „დაიცა, ერთი გაიგოს შენმა სიდედრმა და მაშინ გაჩვენებს სეირს!“

უცებ ჩემი მეუღლე გაჩნდა კარებში. სიხარულისგან ცას დავეწიე, რადგან ახლა მაინც გავიგებ ჩემის სტუმრის ვინაობას მეთქი, ვიფიქრე.

— აი, ჩემი მეუღლეც! - მსწრაფლ წავიბუტბუტე. — ნება მიბოძე, ჩემო მშვენიერო, წარმოგიდგინო ჩემი გულითადი მეგობარი და სკოლის ამხანაგი, ბატონი...—აქ განგებ ხველა ავტეხე და ჩემ მეუღლეს თვალით მეგობარზე ვუჩვენე. ის ფეხზე წამოდგა, ჩემ ცოლს დაბლა თავი დაუკრა, ხელზე აკოცა, მაგრამ თავის ვინაობაზე კრინტიც არ დასძრა. ამ ცერემონიის შემდეგ ისევ თავის ალაგას დაჯდა და ხაჭაპურების ჭამას მიჰყო ხელი.

იმის უზრდელურ ქცევისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა უნივერსიტეტის ცხოვრებაზე გადავედით. არც ხაჭაპურების ჭამა წარმოადგენდა სიძნელეს ჩემის სტუმრისათვის; სჭამდა და თანაც შემდეგ ამბავს გვიამბობდა:

— გახსოვს ჩასუქებული პოლიციელი, რომელსაც სასაცილოთ წმინდა ადგილის დარაჯი ვუწოდეთ? ერთხელ ეს პოლიციელი მოულოდნელად თავს დაგვეცა იმ დროს, როცა ორმა ჩვენმა ამხანაგმა ერთმანეთი დუელში გამოიწვია მშვენიერ ელლას გულისათვის, რომლის სიყვარულში ჩვენ ყველანი ყელამდის ვიყავით ჩაფლული. ასეთ თავხედობისთვის გადავწყვიტეთ პოლიციელი დაგვესაჯა...

მშვენიერ ელლას ხსენებაზე ცოლმა მწყრალისა და იჭვიანის თვალით გადმომხედა. მე თავის ქნევით მინდოდა პროტესტი გამომეცხადებინა, მაგრამ მაინც ყურებამდე გავწითლდი. მოვიგონე მშვენიერი ქალები, რომელთა სიყვარულში სტუდენტობის დროს ყელამდი ვიყავი ჩაფლული, მაგრამ, ღმერთია მოწამე, არც ერთს ელლა არა რქმევია... ჩემმა უცნობმა მეგობარმა ლაპარაკი განაგრძო:

— შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს შევიტყუეთ ის პოლიციელი ერთ სამიკიტნოში ჯერ ლაზათიახად დავათვრეთ ლუდით და არყით, შემდეგ ამოვიდეთ ქვეშ და სულ „ვაი დედავ“ ვაძახებინეთ. როცა კარგა ვიჯერეთ გული, გავიდეთ მხარზე და „მარშით“ მივასვენეთ თავისს „წმინდა სადარაჯოზე“ და გრძნობა დაკარგული დავაგდეთ იქ.

ყველას საოცარი სიცილი აგვიტყდა, ასე რომ კინაღამ კედლები დაინგრა, მაგრამ ზეცას ვფიცავ, არც ამ შურის ძიებაში მიმიღია მონაწილეობა და ჩემს დღეში არც მშვენიერი ელლა მყვარებია.

ახლა მე ვუამბე სტუდენტობის ცხოვრებიდან ვენასა და პარიზში ერთად გატარებული დრო, იქნება მოაგონდეს მეთქი; მაგრამ ყოველივე ცდა ამაო იყო: უცნობს ყოველი ამბავი მოსწონდა, იცინოდა, მაგრამ მოგონებით კი არც ერთი არ მოაგონდა.

ამ დროს ფოსტის მოხელეც შემოვიდა, წერილი გადმომცა და ჩემი გვარი ხმა მაღლა ახსენა. მეორე ხაჭაპური უცნობს ყელზე დაადგა. როცა ზურგში ლაზათიანი მუშტი ვუთავაზე, რის ვაი-ვაგლახით გადაყლაპა ლუკმა.

—როგორ!—შეჰყვირა იმან გაოცებით:—თქვენ, განა თქვენ გიზო კრუნჩევიჩი არა ხართ?

— მე კრუნჩევიჩი ჩემ დღეში არა ვყოფილვარ!

— მაშ მიბძანეთ, ვინა ბძანდებით?

ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი.

— გთხოვთ მაპატიოთ! გაუგებრობის მსხვერპლი გავხდი. რომელი ნომერია თქვენი სახლი?

— მეთხუთმეტე! — მიუგე.

— მართალია. ქუჩა?

— ტელეკის ქუჩა...

— აი, სად შევმცდარვარ! გიზო კრუნჩევიჩი ახალ ტელეკის ქუჩაზე ცხოვრობს... ძლიერ მწყინს, რომ შეგაწუხეთ!

— აბა, რას ბძანებთ?

უცნობი გაჩუმდა და ერთი ხაჭაპური კიდევ გადაყლაპა.

— ნუთუ თქვენ არასოდეს რეფორმატების გიმნაზიაში არა ჰყოფილხართ?

— არასოდეს. თქვენი სახე პირველ შეხვედრაზევე მეუცხოვა და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ პირველად ვხედავთ ერთმანეთს.

წამოვდექი და გოგოს თვალით ვანიშნე, რომ სუფრა აელაგებინა: ისედაც ძვირად დამიჯდა ჩემი უცნობი მეგობარი მეთქი, ვიფიქრე.

-— თქვენ მშვენიერი ადამიანი ბძანდებით!—მითხრა უცნობმა მეგობარმა და ხელი მაგრა ჩამომართვა.—მაგრამ რატომ არ მითხარით, თუ ვერ მიცანით?

მე გამეცინა.

— იცით, რა გითხრათ, ამას წინად გაზეთებში წავიკითხე: „მას შემდეგ, რაც მაკ-კინლეი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად ამოარჩიეს, იმას 168,000 მარტო სკოლის ამხანაგი ეწვია“. მეც სკოლის ამხანაგების სიმრავლეს ჩემის დიდკაცობის მაჩვენებელ ნიშნადა ვთლი.

უცნობმა გაკვირვებით შემომხედა.

— ნუ თუ ბედნიერება მაქვს დიდებულ გვამთან ყოფნისა?

მე ამაყად დავუკარი თავი.

— მაშ, გილოცავთ! ახლა სწორედ დავრწმუნდი, რომ ჩვენ ერთ სასწავლებელში არასოდეს არ გვისწავლია!

ესა სთქვა და გამომემშვიდობა, როცა სამი ჭიქა ჩაი დალია, ერთი მეოთხედი კილო ქონი, ცხრა დიდი ნაჭერი ლორი და ოცდა სამი ცალი ხაჭაპური გაანადგურა და შვიდი სიგარა გამიოხრა.

სახელი და გვარი მაინც ეთქვა იმ ოჯახ დაქცეულს!..

Nadus




რას უფრო ეტრფიან ჩვენი უმაწვილი კაცები.




რას უფრო ეტრფიან ჩვენი ქალები.




რას გაურბიან უმაწვილი კაცები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Апрѣля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.